სსიპ - ზაზა
ბირთველიშვილის
სახელობის ქალაქ გორის
№7 საჯარო სკოლა
218018847

LEPL – Gori Zaza
Birtvelishvili Public
School №7
218018847

ქ. გორი, გორგასალის ქ. №1 ☎ 0370 27-21-54 ; 0370 27-90-83

10/12/2025

MES 9 25 0001764225

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების მიზნით გიგზავნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშს.

სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის 2025 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში:

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:
სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის 2024 წლის 27 დეკემბრის №1/კ-47 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ნინო ბერიძე.
ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.
ბ) დაკმაყოფილდა 2 (ორი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.
ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.
პატივისცემით,

შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი /
ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი /
ქალაქ გორის №7 საჯარო სკოლა
დირექტორი
ლომიძე რუსუდან